N 8
29.02.2024

8-27-4-202402291119

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის

ბრძანება

სსიპ –ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით დოკუმენტების მიმღები აპარატის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის "ა", "ბ" და "პ" ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის N118 დადგენილების, "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი N10 29.12.2014წ.), სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 8 თებერვლის N 30/01–01 და 2024 წლის 16 თებერვლის N 34/01-01 ბრძანებების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერება თაფაკულტეტზე საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

1.1. თამარ მოკვერაშვილი - აპარატის უფროსი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი.

1.2. ანი ბანეთიშვილი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის წამყვანი სპეციალისტი.

1.3. ზურაბ გაბიჩვაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)

2. საკონკურსო დოკუმენტები დადგენილი წესის შესაბამისად მიიღება 2024 წლის 11 მარტიდან 2024 წლის 18 მარტის ჩათვლით 9-დან 18 საათამდე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ–პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად: ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული („ა“ კატეგორია) და 2024 წლის 18 მარტიდან 2024 წლის 21 მარტის ჩათვლით 10-დან 17 საათამდე (დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის რომანული ფილოლოგიის კათედრა (იტალიური ფილოლოგია) ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული („ბ“ კატეგორია) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. N1 (I კორპუსი) ოთახი N207.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნანა გაფრინდაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი